ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 2
- „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონი 3
- „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები“ 5
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი 6
- საქართველოს შრომის კოდექსი 7
- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი 8
- ნარჩენების მართვის კოდექსი 10
- „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი 11
- ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატის (CPP)

„2023 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული მოსაზრებები და ანალიზი არის ინფორმაციული ხასიათის; ისინი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც შ.პ.ს. „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მიერ გაცემული სამართლებრივი რჩევა."

1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2023 წლის 30 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები მეწარმეთა შესახებ კანონში. ცვლილებების მიხედვით:

1. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მეწარმეთა შესახებ ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა (მათ შორის პორტალზე რეგისტრაციის ვალდებულება) აღარ ეკისრებათ ინდივიდუალურ მეწარმეებსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებს; ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მათ მაინც მიენიჭებათ უფლება, ნებაყოფლობით განახორციელონ ზემოაღნიშნული;
2. ამასთანავე, სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ახალ კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად საწარმოებისათვის დაწესებული ვადა გადაიწევს ერთი წლითა და 3 თვით, 2025 წლის 1 აპრილამდე. თუმცა, აღნიშნული ერთი წლის ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ მომდევნო ერთი წელი საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შეეზღუდებათ უფლებამოსილება (რაც გულისხმობს ქონების განკარგვის, საგადასახადო ოპერაციებში მონაწილეობის, საბანკო ანგარიშების მართვის, ახალი ანგარიშის გახსნის, ანგარიშზე ანგარიშზე არსებული თანხის განკარგვის, კრედიტის აღების შესაძლებლობის შეზღუდვას.)
3. ცვლილება, ასევე, ითვალისწინებს, რომ თუ 2026 წლის 1 იანვრამდეც არ განახლდება დოკუმენტაცია, საწარმოს დაუდგინდება 3 თვიანი დამატებითი ვადა, და მხოლოდ მისი უშედეგოდ გასვლის შემდეგ საწარმოს რეგისტრაცია გაუქმდება. ქონების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაიწყოს ლიკვიდაციის პროცედურები.
4. ამასთანავე, ცვლილებებით დამატებით გათვალისწინებულია გამონაკლისი, რომლის მიხედვით 2024 წლის 1 მაისიდანაც შეიძლება ნებაყოფლობით მიმართვის საფუძველზედაც გაუქმდეს საწარმოს რეგისტრაცია. კერძოდ, ცვლილება ითვალისწინებს, რომ საწარმოს (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) პარტნიორი/პარტნიორები, რომელთა საკუთრებაში არსებული წილების ოდენობა აღემატება 50 პროცენტს, უფლებამოსილია მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მოთხოვნით. ცვლილების მიხედვით, ასეთი მიმართვის დროს, საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი პირობების ერთდროულად არსებობის შემთხვევაში:

ა) მიმართვის დღისთვის და ამ თარიღამდე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საწარმო არ არის რეგისტრირებული:

ა.ა) საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის მესაკუთრედ;

ა.ბ) მეწარმეთა და სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში სხვა საწარმოს წილის მესაკუთრედ;

ბ) მიმართვის დღისთვის და ამ თარიღამდე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში მასზე არ არის რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მონაცემებით საწარმოს არ ერიცხება საგადასახადო დავალიანება, არ აქვს წარდგენილი საგადასახადო/საბაჟო დეკლარაცია და არ აქვს გადახდილი შესაბამისი გადასახადი/მოსაკრებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართვის დღისთვის და ამ თარიღამდე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

2. „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონი

2023 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ელექტრონული კომერციის შესახებ“, რომლის ამოქმედებაც განსაზღვრულია კანონის გამოქვეყნებიდან 190-ე დღეს (კანონი გამოქვეყნდა 2023 წლის 30 ივნისს). აღნიშნული კანონით პირველად დარეგულირდა ელექტრონული კომერციის/საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ამ მომსახურების გამწევი პირების პასუხისმგებლობა, მათ შორის შუალედური მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობა. აგრეთვე, დარეგულირდა საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების მიწოდების პროცესში ამ კანონის მიზნებისთვის ელექტრონული ხელშეკრულების ცნება და მისი გაფორმების წესი და პირობები. განისაზღვრა, რომ ამ კანონის მიზნებისთვის მომსახურების მიმწოდებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებას.

კანონით ნათლად გაესვა ხაზი, რომ ელექტრონული კომერცია/საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება არ არის ლიცენზირებადი საქმიანობა და ამ საქმიანობის დასაწყებად არ არის საჭირო რაიმე სახის სპეციფიკური ლიცენზიის ან ნებართვის აღება ან/და ავტორიზაციის გავლა. ეს დეფინიცია არ ვრცელდება ელექტრონული კომერციის/ საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების მიწოდებაზე, რომლისთვისაც საქართველოს კანონით დადგენილია სალიცენზიო რეჟიმი, ასეთ შემთხვევაში პირი ლიცენზიას ან ნებართვას იღებს ან ავტორიზაციას გადის ძირითადი საქმიანობისათვის, რისგანაც ეს კანონი მას არ ათავისუფლებს.

ელექტრონული კომერციის პროცესში მომსახურების მიმღებთა უფლებების დაცვის მიზნით კანონში დეტალურად გაიწერა მომსახურების მიმწოდებლის შესახებ ის მინიმალური ინფორმაცია, რომელიც მომსახურების მიმწოდებელმა მომსახურების მიმღებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა გახადოს. კანონით აგრეთვე დადგენილია ელექტრონულ კომერციაში მონაწილე მხარეების პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება და ამ ვალდებულების დარღვევისთვის მხარეთა პასუხისმგებლობის გადაწყვეტის წესი.

საგულისხმოა, რომ მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოფს კანონის II და III თავებით განსაზღვრული ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე მიწოდებას, თუმცა კანონი ასევე აძლევს მომსახურების მიმწოდებელს უფლებას, რომ აღნიშნული თავებით განსაზღვრული ინფორმაცია დამატებით მიაწოდონ მათთვის სასურველ სხვა ენებზე.

კანონით, ასევე, დარეგულირებულია გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მომსახურების მიმღების მიმართვის საფუძველზე საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ აღნიშნულ შესაძლო დარღვევაზე რეაგირების ვალდებულება. სააგენტოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებლის დაჯარიმების წესი და პროცედურები.

3. „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი

2023 წლის 28 ივნისს საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნდა კანონი „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“, რომელიც ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების ორგანიზებისა და განხორციელების, მათზე ზედამხედველობასა და სქემებში მონაწილეობს წესებს, პირობებსა და მონაწილეთა დაცვის გარანტიის საკითხებს აწესრიგებს. აღნიშნული კანონის მიღებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 1998 წლის „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონი. აღნიშნული კანონი ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებითაა განპირობებული და ევრო დირექტივებთან შესაბამისობაში შემუშავდა.

„ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ კანონპროექტიდან გამომდინარე ცვლილებები 15-მდე კანონში შევიდა.

აღსანიშნავია, რომ კანონი ვრცელდება საქართველოში დაფუძნებულ საპენსიო კომპანიებზე, საქართველოში დაფუძნებულ აქტივების მმართველ კომპანიებსა და მზღვეველებზე, რომლებიც ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობას ახორციელებენ; ასევე, საქართველოში რეგისტრირებულ ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემებზე (შემდგომ – საპენსიო სქემა) და სხვა ფიზიკურ პირსა და იურიდიულ პირზე, რომლებიც ჩართული არიან ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობაში. დადგენილია, რომ დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებული ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის როგორც საქართველოში, ისე მისი ფარგლების გარეთ განხორციელება ამ კანონით გათვალისწინებული ლიცენზიისა და რეგისტრაციის ან/და სამსახურის წინასწარი თანხმობის გარეშე.

ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა გულისხმობს საპენსიო სქემის რეგისტრაციას/დაფუძნებას, საპენსიო სქემის ადმინისტრირებას, საპენსიო შენატანების აკუმულირებასა და აღრიცხვას, საპენსიო დანაგროვის ფორმირებას, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო აქტივების ინვესტირებას და ნებაყოფლობითი კერძო პენსიების რეგულარულად გაცემას. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება: სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებზე, უცხო ქვეყნის ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანოებსა და დაწესებულებებზე, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ან სავალდებულო საპენსიო სისტემების ფონდებს მართავენ; „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საპენსიო სქემაზე; საერთაშორისო ფინანსური და დიპლომატიური ინსტიტუტების მიერ საქართველოში თავიანთი თანამშრომლებისთვის შეთავაზებულ საქართველოს ფარგლების გარეთ დაფუძნებულ საპენსიო სქემებზე. აქვე აღნიშნულია, რომ ამ კანონით რეგულირებული საპენსიო სქემები არის მხოლოდ განსაზღვრული შენატანის საპენსიო სქემები. ამავე კანონის ფარგლებში საქართველოში რეგისტრირებული არცერთი საპენსიო სქემა არ შეიძლება შეთავაზებულ იქნეს, როგორც განსაზღვრული სარგებლის საპენსიო სქემა, რომელშიც ნებაყოფლობითი კერძო პენსიის გადახდა დამოკიდებულია მონაწილის გამომუშავების ისტორიაზე, სამუშაო სტაჟსა და ასაკზე და პირდაპირ არ უკავშირდება მის სასარგებლოდ განხორციელებულ საპენსიო შენატანებსა და შესაბამის ამონაგებს.

გასათვალისწინებელია, რომ კანონი განსაზღვრავს, როგორც ჯგუფურ, ასევე, ინდივიდუალურ საპენსიო სქემებს. თუ პირს სურს, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საპენსიო სქემის ან სახელმწიფო პენსიის გარდა, მიიღოს დამატებითი პენსია, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აქტივების მმართველი კომპანიის ან მზღვეველის მიერ ჩამოყალიბებულ და რეგისტრირებულ ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში. ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში მონაწილეობა შეუძლია როგორც დასაქმებულ ფიზიკურ პირს, ისე ნებისმიერ სხვა ფიზიკურ პირს (მათ შორის, თვითდასაქმებულს).

კანონით დადგინდა, თუ როდის ხდება პირი საპენსიო სქემის მონაწილე. როგორც ინდივიდუალურ, ასევე, ჯგუფური სქემის შემთხვევაში მნიშვნელოვანია საპენსიო სქემის ხელშეკრულების გაფორმება, რომლის არსებით პირობებსაც თავად კანონი ადგენს. კანონი, ასევე, ითვალისწინებს დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების და დასაქმებულთა გაერთიანების მიერ ჩამოყალიბებულ ჯგუფურ საპენსიო სქემებში მონაწილე დასაქმებულების უპირობო უფლებებს დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებზე.

კანონი დეტალურად განსაზღვრავს საპენსიო კომპანიის დაფუძნებისა და ლიცენზირების წესებს. ის, ამავე ნაწილში ადგენს მოთხოვნებს უცხოური საპენსიო ორგანიზაციისთვის. კერძოდ, უცხოური საპენსიო ორგანიზაცია უფლებამოსილია ამ კანონის შესაბამისად საქართველოში დაარეგისტრიროს საპენსიო სქემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს სათანადო უცხოური საზედამხედველო ორგანოს შესაბამისი ნებართვა და მისი საქმიანობა ექვემდებარება პრუდენციულ რეგულირებას კეთილსაიმედოობის, დაცულობისა და

გამჭვირვალობის სტანდარტების გათვალისწინებით. უცხოური საპენსიო ორგანიზაცია უფლებამოსილია დამატებითი ლიცენზირების გარეშე, სამსახურის მიერ აღიარების საფუძველზე და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაარსებული ფილიალის მეშვეობით საქართველოში დაარეგისტრიროს საპენსიო სქემა და განახორციელოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა. სამსახური განსაზღვრავს უცხოური საპენსიო ორგანიზაციის აღიარების და ცალკეული მოთხოვნების შესრულებისგან გათავისუფლების პროცედურასა და წესს.

კანონი, ასევე, შეიცავს მოთხოვნებს საპენსიო სქემის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. საყურადღებოა, რომ ყველა რეგისტრირებულმა საპენსიო სქემამ უნდა ისარგებლოს შესაბამისად უფლებამოსილი სპეციალიზებული დეპოზიტარების მომსახურებით. ამასთან, საპენსიო კომპანია უნდა სარგებლობდეს ერთმანეთისგან იურიდიულად დამოუკიდებელი აქტივების მმართველი კომპანიებისა და სპეციალიზებული დეპოზიტარების მომსახურებით, რომლებიც არ უნდა იყვნენ ერთი და იმავე სუბიექტის ან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სუბიექტების საკუთრებაში ან მმართველობის ქვეშ. კანონითვე არის განსაზღვრული სპეციალიზებულ დეპოზიტართა ფუნქციები, ინტერესთა კონფლიქტის მართვის ნორმები და უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კანონი ითვალისწინებს საპენსიო კომპანიების შერწყმის, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისა და საპენსიო კომპანიის ლიკვიდაცია. ამასთან, აღნიშნულია, რომ ზედამხედველობას ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობისას ახორციელებს სამსახური, ხოლო ამ კანონის ფარგლებში სპეციალიზებული დეპოზიტარისა და აქტივების მმართველი კომპანიის ზედამხედველობას და დამატებით რეგულირებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. კანონი შეიცავს ფიდუციური ვალდებულების დარღვევა და დავის გადაწყვეტის წესებსაც.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებლები ვალდებული არიან 2026 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ საკუთარი საქმიანობის ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახური განახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმების პროცედურებს.

4. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები დაკავშირებულია „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან, რომელიც არეგულირებს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სუბიექტების საქმიანობას. აქვე, განისაზღვრა, რომ 2025 წლის პირველი იანვრიდან სადაზღვევო საქმიანობასა და „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას გაბახორციელებს სამსახური, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაზღვევის სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე, დამოუკიდებელი ორგანოა. სამსახურის მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ კანონითა და „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. დამატებით გახდა გარანტირებული „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაწილის ან ბენეფიციარის უფლება, რომ შესაბამისი სუბიექტის მიერ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში პრეტენზიით მიმართოს როგორც თავად აქტივების მმართველი კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას, ასევე, სამსახურს.

ამავე ცვლილებებით განისაზღვრა, რომ სამსახურის უფლებამოსილება სანქციების დაუყოვნებლივ აღსრულებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული სანქცია იძულებით აღსასრულებლად მიიქცევა კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. სამსახური უფლებამოსილია საპენსიო კომპანიის და მზღვეველის, როგორც საპენსიო სქემის დამფუძნებლის, და მათი ადმინისტრატორების მიმართ გამოიყენოს „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სანქციები იმავე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

ამასთან, განმარტებებისა და დაზღვევის ობიექტის ნაწილს დაემატა ანიუტეტის ცნება, რომელიც სიცოცხლის დაზღვევის ნაირსახეობას წარმოადგენს და შესაძლებელია არსებობდეს, როგორც განსაზღვრული ვადით, ასევე, სიცოცხლის ხანგრძლივობით. სიცოცხლის ხანგრძლივობით ანუიტეტის გაცემის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მზღვეველს, რომელსაც აქვს სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია.

და ბოლოს, ცვლილებები შეეხო გადახდისუუნარობის საქმისწარმოების საკითხებსაც. კერძოდ, დაკონკრეტდა, რომ კრედიტორთა მოთხოვნები, რომელთა საფუძველია სიცოცხლის დაზღვევა. სიცოცხლის დაზღვევის ვალდებულებათა ოდენობა განისაზღვრება მაგროვებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის სახეობებისთვის – სიცოცხლის დაზღვევის რეზერვის ოდენობით, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცესში არის მესამე რიგის მოთხოვნათა კატეგორიაში, ხოლო „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საპენსიო აქტივები არ შედის გადახდისუუნარობის/გაკოტრების მასაში და მათზე არ ვრცელდება მზღვეველის მიმართ აღსრულების ღონისძიებები „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს ახალი კანონი

2024 წლის 1 მარტს მოქმედებას იწყებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი, რომელიც მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობის 2016 წლის 27 აპრილის 2016/679(GDPR) რეგულაციასთან და ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციას ითვალისწინებს და მთელ რიგ ახალ ვალდებულებებსა და მოთხოვნებს აწესებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიმართ.

კერძოდ, კანონით შეიცვალა „პერსონალური მონაცემის" და „განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის განმარტება, დაზუსტდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები; მნიშვნელოვნად შეიცვალა ვიდეოთვალთვალისა და აუდიომონიტორინგის, მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების წესები (მაგალითად, ვიდეომონიტორინგისთვის, დამმუშავებაზე პასუხისმგებელი პირი, ვალდებული ხდება წერილობით განსაზღვროს ვიდეომონიტორინგის მიზანი და მოცულობა , ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა და ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა , ვიდეოჩანაწერზე წვდომის , მისი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები , მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები , გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფიზიკური პირი ვიდეომონიტორინგს ახორციელებს საცხოვრებელ შენობაში). ამასთანავე, ახალი კანონით მონაცემთა დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დასაშვები ხდება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით. დგინდება ვალდებულება, რომ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მიღებამდე და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისასმონაცემთა დამმუშავებელმა/უფლებამოსილმა პირმა

მონაცემთა სუბიექტს ნათლად და მარტივი ენით განუმარტოს მის მიერ თანხმობის ნებისმიერ დროს გამოხმობის უფლების და მისი განხორციელების მექანიზმის/წესის შესახებ.

ამასთანავე, GDPR-ის შესაბამისად, კანონში გათვალისწინებულ იქნა მონაცემთა სუბიექტების შემდეგი უფლებები:

- მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
- მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება;
- მონაცემთა გასწორების, განახლების და შევსების უფლება;
- მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება;
- მონაცემთა დაბლოკვის უფლება;
- მონაცემთა გადატანის უფლება;
- ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები (პროფილირებაზე უარის თქმის უფლება)
- თანხმობის გამოხმობის უფლება;
- გასაჩივრების უფლება

თუმცა, ახალი კანონის მიხედვით, გარკვეული ვალდებულებები 2024 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდება. კერძოდ, ეს ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულებას.

კერძოდ, ახალი კანონის მიხედვით, საჯარო დაწესებულება, სადაზღვევო ორგანიზაცია, კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საკრედიტო ბიურო, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია, ავიაკომპანია, აეროპორტი, სამედიცინო დაწესებულება, აგრეთვე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი /დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი , რომელიც ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს ან ახორციელებს მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს, ვალდებული არიან დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა მონაცემთა დაცვის სფეროში და რომელმაც უნდა უზრუნველყოს კანონით მისთვის მინიჭებული ვალდებულებების განხორციელება, მათ შორის შესაბამისი პოლიტიკის, შიდა რეგულაციების, დოკუმენტების შემუშავება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან კომუნიკაცია.

საყურადღებოა, კანონი ითვალისწინებს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს როგორც თანამშრომელმა, ისე სხვა პირებმაც მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე (მაგალითად, იურიდიული კომპანიის თანამშრომლების სახით, outsource-ინგის საფუძველზე).

6. საქართველოს შრომის კოდექსი

საქართველოს თავდაცვის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, საქართველოს შრომის კოდექსს დაემატა შემდეგი საკითხები:

დასაქმებულისათვის გათვალისწინებულია დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება: ა) საომარი მდგომარეობის ან/და საგანგებო მდგომარეობის, საგანგებო სიტუაციის ღონისძიებებში მონაწილეობისას მათი დასრულების შემდეგ ერთჯერადად – არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა, და ბ) სამშვიდობო ოპერაციაში როტაციის ვადის ამოწურვისა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ – 30 კალენდარული დღე.

აღსანიშნავია, რომ მითითებული დამატებითი შვებულების უფლების წარმოშობისათვის საჭირო არ არის 11-თვიანი ვადის გასვლა, ასევე დამსაქმებელი დასაქმებულებს ვერ დაუწესებს ამგვარი შვებულების გამოყენების რიგითობას.

7. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი

2023 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები, რომელთა მიღების ძირითად მიზანს საავტორო და მომიჯნავე უფლებებზე ქონებრივი უფლებების მართვის სისტემის განვითარება წარმოადგენს. ამოქმედებული ცვლილებები, ძირითადად, მოიცავს საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვასა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სათანადო დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კანონში ახლებურად ჩამოყალიბდა 63-ე მუხლის შინაარსი, რომელიც შეეხება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის შექმნას. კერძოდ, განისაზღვრა, რომ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორებს, შემსრულებლებს, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, ასევე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელებს საკუთარი ქონებრივი უფლებების კოლექტიურად მართვის მიზნით, შეუძლიათ შექმნან კოლექტიური მართვის ორგანიზაცია. ამავე მუხლით განისაზღვრა, რომ ერთი უფლების ან უფლებათა კატეგორიის მიმართ ქონებრივი უფლებების მართვა მხოლოდ ერთმა, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მოსაპოვებლად, კოლექტიური მართვის ორგანიზაციამ უნდა მიიღოს აკრედიტაცია, რომელიც გაიცემა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლებისაგან, ასევე, საქპატენტის თავმჯდომარისგან დაკომპლექტებული აკრედიტაციის კომისიის მიერ. აკრედიტაციის მინიჭების კრიტერიუმები და პროცედურა მოცემულია კანონის 64-ე მუხლში, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ორგანიზაციის მიერ დადასტურებას, რომ იგი წარმოადგენს უფლების მფლობელებს და იმავდროულად, ნებისმიერ უფლების მფლობელს შეუძლია შეუერთდეს მას ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, ასევე, მას შეუძლია კოლექტიურად მართოს ქონებრივი უფლებები, ჰყავს შესაბამისი პერსონალი, აქვს ჰონორარის შეგროვებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰონორარის შეგროვების, განაწილებისა და გადახდის ეფექტიანი მექანიზმები.

ცვლილებების ფარგლებში, კანონს დაემატა 66-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ფუნქციებს, უფლებებსა და ვალდებულებებს. აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაციამ საქმიანობა განახორციელოს მის მიერ წარმოდგენილი უფლებათა მფლობელების ინტერესების შესაბამისად.

კანონის თანახმად, უფლებების მართვის საფასურის მაქსიმალური ოდენობა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ შეგროვებული ჰონორარის 20 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთანავე, კოლექტიური მართვის ორგანიზაცია ვალდებულია, რომ უფლების მფლობელს მიაწოდოს ინფორმაცია მისგან უფლების მართვის ნებართვის მიღებამდე შეგროვებული ჰონორარიდან უფლებების მართვის საფასურისა და სხვა მიზნობრივი დაქვითვების შესახებ.

კანონითვე მოწესრიგდა ჰონორარების შეგროვებისა და განაწილების წესები, კერძოდ, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას დაეკისრა ვალდებულება, გულმოდგინედ და მაქსიმალური სიზუსტით გაანაწილოს თავისი საქმიანობიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი იმ უფლების მფლობელებზე, რომელთა უფლებებსაც იგი მართავს. ამასთანავე, ჰონორარის განაწილების ძირითადი პრინციპები და წესები განსაზღვრული უნდა იყოს ორგანიზაციის წესდებით ჰონორარის პროპორციულად, არადისკრიმინაციულად, სათანადოდ და სამართლიანად განაწილების მიზნით.

გარდა ამისა, კანონს დაემატა 66[4] მუხლი, რომელიც აწესრიგებს უფლების მფლობელის გარანტიებს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციასთან მიმართებით, ასევე, განსაზღვრავს უფლების მფლობელის უფლებამოსილებას, შეწყვიტოს ორგანიზაციისათვის უფლებების სამართავად გადაცემასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება სრულად ან მისთვის სასურველ ფარგლებში. მას, ასევე, უნარჩუნდება იმ ჰონორარის მოთხოვნის უფლება, რომელიც ორგანიზაციამ მის სახელზე შეაგროვა გაცემული ნებართვის ან ლიცენზიის შეწყვეტამდე ან ასეთი მოთხოვნის წაყენებამდე.

ცვლილებებით, ასევე, განისაზღვრა ტარიფების დადგენის წესი და უფლების მფლობელის უფლება, მისი უფლებების გამოყენებამდე მიიღოს შესაბამისი ჰონორარი, რომლის ოდენობა, კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ, შეთანხმებულ უნდა იქნას მოსარგებლესთან. ამასთანავე, ორგანიზაცია ვალდებულია, რომ გამოაქვეყნოს სატარიფო გეგმები თავისი ვებგვერდის მეშვეობით და სთხოვოს „საქპატენტს“ მათი გამოქვეყნება საკუთარ ვებგვერდზე.

კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მთელ რიგ ვალდებულებებს აწესებს კანონში შესული აღნიშნული ცვლილებები.

კერძოდ, 66[7]-ე მუხლის თანახმად, ორგანიზაცია ვალდებულია, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, ყოველ უფლების მფლობელს მიაწოდოს ინფორმაცია, მათ შორის, უფლების მფლობელების მიერ მისაღები ჰონორარების ოდენობის შესახებ, მის მიერ უფლებათა კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით უფლების მფლობელებისთვის გადახდილი თანხების ოდენობის შესახებ, გამოქვითვების შესახებ, რომლებიც განხორციელებულია, როგორც უფლებების მართვის საფასური.

66[8]-ე მუხლი განსაზღვრავს ორგანიზაციის ვალდებულებას სხვა კოლექტიური მართვის ორგანიზაციებისთვის წარმომადგენლობითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებების მართვის შესახებ.
მნიშვნელოვანია კანონში შეტანილი ცვლილება, რომლის მიზანია ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, კერძოდ, კოლექტიური მართვის ორგანიზაციამ, საკუთარ ვებ-გვერდზე, სულ მცირე უნდა გამოაქვეყნოს თავისი წესდება, ორგანიზაციის წევრობის მარეგულირებელი და უფლების მართვაზე გაცემული ნებართვის შეწყვეტის წესები, ინფორმაცია უფლებების მართვის საფასურის შესახებ, ასევე, უფლების მფლობელებისთვის ჰონორარების განაწილების ზოგადი წესები და სხვა. ამასთანავე, ორგანიზაცია, მისი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ვალდებულია აწარმოოს წლიური ანგარიშები და უზრუნველყოს მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

გასათვალისწინებელია, რომ კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ უფლების მფლობელთა ქონებრივ უფლებათა კოლექტიური მართვის სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე, მის მიერ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა და საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელ ორგანოდ განისაზღვრა საქპატენტი. საქპატენტს, აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, უფლება აქვს ორგანიზაციის საქმიანობის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, აღნიშნული ორგანიზაციისგან ნებისმიერ დროს გამოითხოვოს მისი საქმიანობის შესახებ ანგარიში, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერ ინფორმაციას ქონებრივი უფლებების მართვასთან დაკავშირებით. საქპატენტს, ასევე, შეუძლია, აღნიშნული მოკვლევის ჩატარება დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დაავალოს იმ აუდიტორული ფირმებიდან ერთ-ერთს, რომელსაც მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის აუდიტის უფლებამოსილება. დარღვევის

აღმოჩენის შემთხვევაში, ორგანიზაციას დაეკისრება აუდიტის მთლიანი ღირებულება, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს მისი სამართავად გაწეული ხარჯებიდან.

აღსანიშნავია ცვლილებებით გათვალისწინებული აკრედიტაციის შეწყვეტის შესაძლებლობა. კერძოდ, „საქპატენტი“ მიიღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შეწყვეტის შესახებ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილი არ იქნება დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება. აკრედიტაციის შეწყვეტა გულისხმობს აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

8. ნარჩენების მართვის კოდექსი

2026 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება „ნარჩენების მართვის“ კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომელთა მიღების საფუძველს „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით გათვალისწინებულ ახალ სამართლებრივ რეგულაციებთან ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენს.

ცვლილებების საფუძველზე, კანონში დაემატა ნებართვის ახალი სახე - ინტეგრირებული გარემოსაცვითი ნებართვა, რომელსაც ექვემდებარება „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქმიანობები. კერძოდ, აღნიშნული ნებართვა უნდა მიიღოს პირმა, თუ იგი ახორციელებს „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას. კანონით განსაზღვრულია ასევე ინტეგრირებული გარემოსაცვითი ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

9. „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ საქართველოს კანონი

მიმდინარე წლის 16 ივნისს მიღებულ იქნა ახალი კანონი - რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ კანონი, გარდა მისი მეოთხე თავისა, რომელიც არეგულირებს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციის სისტემას, ლიცენციებისა და ნებართვების გაცემის წესს. კანონის აღნიშნული ნაწილი ძალადაკარგულად გამოცხადდება 2026 წლიდან.

კანონი მიზნად ისახავს მარეგულირებელ პრაქტიკაში გამოკვეთილი პრობლემური საკითხების გადაჭრას, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობების აღმოფხვრას, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (აესს) ექპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას.

ახალი კანონით არ შეცვლილა რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში სახელმწიფო უწყებების ზოგადი კომპეტენცია, თუმცა ერთ თავში გაერთიანდა უწყებათა კომპეტენციები, სხვადასხვა თემატური მიმართულების მიხედვით. რაც ხელს შეუწყობს მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობას.

კანონის შესაბამისად, აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც უკავშირდება ბირთვული იარაღისა და ბირთვული მასალის შემცველი სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებას, ფლობასა და გადაცემას, ამ იარაღისა და მოწყობილობების პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს, მათ შესაქმნელად სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობას, ასევე ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის არამშვიდობიანი მიზნით გამოყენებას.

ამასთან, დაზუსტდა და დამატებით აიკრძალა:

- საკვებ პროდუქტში, სათამაშოში, სამკაულში, კოსმეტიკურ საშუალებასა და სამომხმარებლო პროდუქტში

რადიოაქტიური ნივთიერების განზრახ დამატება, ასევე ამ საგნების იმპორტი, ექსპორტი ან/და ბაზარზე განთავსება.

- რადიონუკლიდებით დაბინძურებული საცხოვრებელი ან სამუშაო სივრცის გამოყენება, თუ დაბინძურების დონე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დაბინძურების დასაშვებ დონეს აღემატება.
- რადიონუკლიდებით დაბინძურებული სამომხმარებლო პროდუქტის იმპორტი, ექსპორტი ან/და ბაზარზე განთავსება, თუ დაბინძურების დონე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დაბინძურების დასაშვებ დონეს აღემატება.
- საქართველოს ტერიტორიაზე რადიოაქტიური ნარჩენების ტრანზიტი, საქართველოს ფარგლების გარეთ წარმოქმნილი რადიოაქტიური ნარჩენების იმპორტი და რადიოაქტიური ნარჩენების რეექსპორტი.

კანონმა დააზუსტა და განავრცო ფიზიკური პირების უფლებები, კერძოდ ფიზიკურ პირს უფლება აქვს:

ა) მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავის სამუშაო და საცხოვრებელ სივრცეებში რადიოლოგიური მდგომარეობის, მათ შორის, ბირთვული ან რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) იცხოვროს და იმუშაოს რადიაციულად უსაფრთხო გარემოში;

გ) მონაწილეობა მიიღოს ამ კანონით რეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში;

დ) მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლების დასაცავად ამ კანონით რეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებით.

10. „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება

შენობის ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით დაზუსტდა, არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შესათანხმებლად სააგენტოში წარსადგენი დოკუმენტის სახე, კერძოდ დამკვეთის მიერ 2025 წლის 30 ივნისის ჩათვლით წარსადგენია: „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნებით“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული საექსპერტო დასკვნა ან ეროვნული პროგრამის დასტური, ხოლო 2025 წლის 30 ივნისის შემდეგ – საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალურ მოთხოვნებზე უფლებამოსილი ექსპერტების მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნა, ეროვნული პროგრამის დასტურის საფუძველზე (გარდა კანონში მითითებული გამონაკლისებისა).

11. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №78/ნ (2023 წლის 2 ნოემბერი) ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატის (CPP) გაცემის წესისა და სერტიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მინისტრის ბრძანება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტიცდა ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატის (CPP) გაცემის წესი.

ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატის (CPP) გაცემას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატი (CPP) გაიცემა ერთი დასახელების ფარმაცევტული პროდუქტის ერთ დოზაზე, ერთ წამლის ფორმაზე და შეფუთვაში არსებულ რაოდენობაზე.

ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატი (CPP) გაიცემა მხოლოდ იმ მწარმოებელი კომპანიის წარმოებულ ფარმაცევტულ პროდუქტზე, რომელიც ფლობს საქართველოს ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტით წარმოების დამადასტურებელ სერტიფიკატს და ფარმაცევტული პროდუქტი რეგისტრირებულია საქართველოს ბაზარზე.
საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატის (CPP) გაცემის და გაცემაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაცია თავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.rama.moh.gov.ge.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, ქ. თბილისი,
ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,
სართული IV, ოფისი 28

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)

მობილური: (+995) 555 018585

ელ-ფოსტა: info@nplaw.ge

www.nplaw.ge

NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS